სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების

საშუალოვადიანი პრიორიტეტების

დ ო კ უ მ ე ნ ტ ი

სამტრედია

2025 წელი

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში. ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას, გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები. ტურისტული პოტენციალის ამაღლების მიზნით, გაგრძელდება სხვადასხვა პროექტების განხორციელება. ასევე, გაგრძელდება გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც სამომავლოდ თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს. 2026-2029 წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება. უმთავრესი ყურადღება დაეთმობა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად. ამ მიზნით გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს დაფინანსება; დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამები; განათლების სისტემის განვითარების კუთხით საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო, გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება, გაგრძელდება საჯარო სკოლებისა და ბაღების(ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას, გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის და სხვა.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2026 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის, 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასავლეთ ნაწილში და ესაზღვრება სამეგრელოს და გურიის მხარეებს; კერძოდ: აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. მისი ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი, სადაც ძირითადად მთიანი სოფლებია განლაგებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 364.1 კვ. კმ-ს შეადგენს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე - 1 კვ. კმ-ზე – 133.4 კაცს. სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 15 ადმინისტრაციულ ერთეულად. მუნიციპალიტეტში 52 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა, 13 თემი და 49 სოფელი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო კვანძს. მუნიციპალიტეტზე გადის საავტომობილო მაგისტრალები ს1 და ს12, საქართველოს ცენტრალური რკინიგზის 31 კილომეტრიანი მონაკვეთი. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქუთაისს შორის 33,3 კმ-ია, ხოლო ქალაქ სამტრედიასა და თბილისს შორის 260 კმ-ია. ქალაქი სამტრედია ფოთის პორტიდან დაცილებულია 65 კმ-ით, ხოლო ბათუმის პორტიდან 113 კმ-ით. ქალაქ სამტრედიიდან 11 კილომეტრში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

2024 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 44.0 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც იმერეთის მოსახლეობის 8.7%-ს და საქართველოს მოსახლეობის 1.1% შეადგენს. აქედან, საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 52.7%, ხოლო სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს 47.3%. 2014 წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 9,4%-ით არის შემცირებული. იგივე პერიოდში იმერეთში მოსახლეობა 5,3%-ით შემცირდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წლის მდგომარეობით 0-6 წლამდე ასაკის 2963 ბავშვია რეგისტირებული, მათ შორის გოგო - 1456, ბიჭი - 1507. აქედან ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 1200 ბავშვია, მათ შორის გოგო - 743, ბიჭი - 457, ხოლო სკოლის ასაკის ბავშვთა (6-18 წლამდე) რაოდენობა 7527 შეადგენს, მათ შორის გოგო - 3620, ბიჭი - 3907.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღებთა რაოდენობა 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 11 908 ადამიანს, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 27.1%, ხოლო ქვეყნის პენსიონერთა საერთო მაჩვენებელის 1.4% - ია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 2 369 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 5,4% -ია, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (4.7%) მეტია.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად, 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 35.4% შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2026-2029 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე, ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**40,140.9**	**41,761.9**	**29,899.6**	**30,584.1**	**32,813.8**	**35,213.8**
გადასახადები	22,947.1	25,619.4	27,587.0	29,143.3	31,356.9	33,758.8
გრანტები	15,248.4	13,737.7	312.6	0.0	0.0	0.0
სხვა შემოსავლები	1,945.4	2,404.8	2,000.0	1,440.8	1,456.9	1,455.0
ხარჯები	**23,599.0**	**29,614.3**	**27,186.9**	**27,242.6**	**27,767.6**	**28,094.5**
შრომის ანაზღაურება	3,855.7	4,315.0	4,838.3	4,859.8	4,859.8	4,859.8
საქონელი და მომსახურება	3,239.5	4,232.6	2,987.1	2,648.6	2,657.6	2,482.5
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	13.8	13.5	5.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	11,906.1	14,455.6	14,839.2	15,324.4	15,789.4	15,789.4
გრანტები	112.2	34.5	35.5	34.5	35.5	37.5
სოციალური უზრუნველყოფა	2,326.2	2,550.3	2,425.8	2,435.8	2,435.8	2,435.8
სხვა ხარჯები	2,145.5	4,012.8	2,056.0	1,939.5	1,989.5	2,489.5
საოპერაციო სალდო	**16,541.9**	**12,147.6**	**2,712.7**	**3,341.5**	**5,046.2**	**7,119.3**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**14,763.6**	**17,434.1**	**2,677.6**	**3,341.5**	**5,046.2**	**7,119.3**
ზრდა	17,709.5	18,297.3	3,217.4	3,741.5	5,046.2	7,119.3
კლება	2,945.9	863.2	539.8	400.0	0.0	0.0
მთლიანი სალდო	**1,778.3**	**-5,286.5**	**35.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**1,708.2**	**-5,356.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ზრდა	1,708.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,708.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	5,356.6	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5,356.6	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-70.1**	**-70.1**	**-35.1**	**-70.1**	**-70.1**	**-70.1**
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	70.1	70.1	70.1	70.1	70.1	70.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	70.1	70.1	70.1	70.1	70.1	70.1
ბალანსი	**0.000**	**0.000**	**0.000**	**0.000**	**0.000**	**0.000**
მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	6.4%	25.5%	-8.2%	0.2%	1.9%	1.2%

შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები)	11.0%	12.4%	9.2%	8.4%	8.5%	8.5%

2.2 გასული 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

2024 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 42,536.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43,086.8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 550.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 101.3% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 40,140.9 ათასი ლარი, რამაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39,596.6 ათასი ლარი) 101.4% და მთლიანი - შემოსულობების 93.2 % შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 22,947.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22,037.1 ათასი ლარის) 104.1%-ია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქონების გადასახადის (გარდა მიწისა) შემოსავალმა შეადგინა - 1,902.6 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადმა შეადგინა 1,363.6 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადმა შეადგინა 19,680.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19,237.1 ათასი ლარი) 102.3%-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი 17,529.3 ათასი ლარი) 2024 წელს დღგ-დან მიღებულმა შემოსავალმა 2,151.6 ათასი ლარით მეტი შეადგინა.

გრანტების სახით მიღებულია 15,248.4 ათასი ლარი, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი - 11,174.9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 928.1 ათასი ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური გრანტი - 235.2 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი - 2,910.2 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,945.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,934.6 ათასი ლარის) 100.6%-ია.

ათასი ლარი

დასახელება	**2024 წელი**			
	გეგმა	**ფაქტი**	**+/-**	**%**
შემოსავლები	**39,596.6**	**40,140.9**	**544.3**	**101.4**

გადასახადები	22,037.1	22,947.1	910	104.1
გრანტები	15,624.9	15,248.4	-376.5	97.6
სხვა შემოსავლები	1,934.6	1,945.4	10.8	100.6

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2024 წელს მობილიზებული იქნა 2,945.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც პრივატიზაციის შედეგად იქნა მიღებული. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 6.8%-ს შეადგენს.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა ნაშთი 3,647.4 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან - 1403.7 ათასი ლარი შეაგდენდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთს, ხოლო 2,239.3 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტით არსებულ ნაშთს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 41,378.6ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 89.6%-ია (წლიური გეგმა 46,179.8 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)

დასახელება	**2024 წელი**	
	ფაქტი	**%**
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,135.9	12.4
ეკონომიკური საქმიანობა	13,269.4	32.2
გარემოს დაცვა	3,729.3	9.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,013.3	12.1
ჯანმრთელობის დაცვა	282.2	0.7
დასვენება და კულტურა	5,333.8	12.9
განათლება	5,452.3	13.2
სოციალური დაცვა	3,092.3	7.5
სულ ხარჯები	**41,308.5**	**100.0**

ხარჯებმა დარგების მიხედვით შეადგინა:

1. **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** - 5,206.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (5,574.4 ათასი ლარი) 93.4%-ია; მათ შორის:
2. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** სულ გახარჯულია 18,282.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (22,214.4 ათასი ლარი) 82.3 %-ია; მათ შორის:
   2.1 გზების,ხიდების,ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებებისათვის - 12,998.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (15,312.4 ათასი ლარი) 84.9 %-ია;
   2.2 კომუნალური მეურნეობის განვითარება - 2,316.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,394.6ათასი ლარი) 68.2 %-ია, მათ შორის:
      2.2.1 ბინათმშენებლობა - 1,523.0ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2,530.2 ათასი ლარი) 60.2 %-ია;
      2.2.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 59.7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (85.6 ათასი ლარი) 69.7 %-ია;
      2.2.3 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 733.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (778.8 ათასი ლარი) 94.2%-ია;
   2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 2,070.1 ათასი ლარი, რას წლიური გეგმის (2,464.6 ათასი ლარი) 84.0%-ია;
      2.3.1 საკადასტრო რუკები და ექსპერტიზის ხარჯი - 6.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (7.0 ათასი ლარი) 88.6%-ია;
      2.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 2,063.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2,457.6 ათასი ლარი) 84.0%-ია.
   2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 633.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (774.8 ათასი ლარი) 81.8%-ია.
   2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება - 264.5 ათასი ლარი,რაც წლიური გეგმის (268.0 ათასი ლარი) 98.7%-ია;
3. **დასუფთავება და გარემოს დაცვა** - 3,729.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,825.4 ათასი ლარი) 97.5%-ია; მათ შორის:

3.1 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 2,291.4 ათასი ლარი,რაც წლიური გეგმის (2,378.4 ათასი ლარი) 96.3 %-ია.

3.2 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 739.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (748.5 ათასი ლარი) 98.8%-ია.

3.3 დასუფთავება - 698.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (698.5 ათასი ლარი) 99.9 %-ია.

4. **განათლების** დარგით გახარჯულია სულ - 5,452.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (5,633.9 ათასი ლარი) 96.8%-ია;
   4.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სუბსიდირებაზე - 4,240.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (4,265.5 ათასი ლარი) 99.4%-ია;
   4.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 682.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (802.2 ათასი ლარი) 85.1%-ია.
   4.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 315.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (317.4 ათასი ლარი) 99.4%-ია.
   4.4 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 213.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (248.8 ათასი ლარი) 86.0%-ია.
5. **კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებები** – 5,333.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (5,508.8 ათასი ლარი) 96.8 %-ია;

6. **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 3,374.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,422.9 ათასი ლარი) 98.6%-ია, მათ შორის:
   6.1 ჯანდაცვის პროგრამები - 282.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (283.1 ათასი ლარი) 99.7%-ია.
   6.2 სოციალური პროგრამები - 3,092.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (3,139.8 ათასი ლარი) 98.5%-ია.

2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 45,566.1 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების სახით 2025 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 28,952.2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (40,209.5 ათასი ლარი) 72.0%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 18,865.5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (25,619.4 ათასი ლარი) 73.6%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 7,562.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (11,322.1 ათასი ლარი) 66.8%-ია, აქედან:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 633.2 ათასი ლარი;
- კაპიტალური ტრანსფერი - 5,967.7 ათასი ლარი; (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები);
- სპეციალური ტრანსფერი - 577.6 ათასი ლარი; (სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის)
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 207.3 ათასი ლარი;
- სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 177.0 ათასი ლარი; (საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად)

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1,939.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 114.1%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 374.3 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 631.0 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 238.4 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 479.0 ათასი ლარი, ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მიღებულია 216.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 584.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,568.0 ათასი ლარი) 37.3%-ია.

2025 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 5 356.5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული

ნაშთი შეადგენს 1 951.0 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 3 405.5 ათას ლარს.

2025 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 30,299.1 ათასი ლარი (წლიური გეგმის 45,566.1 ათასი ლარის 66.5%-ი). მათ შორის:

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4,118.8 ათასი ლარი;

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაციის დარგში სულ გახარჯულია 11,664.7 ათასი ლარი, კერძოდ:

2.1 გზების,ხიდების,ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებებისათვის - 8,106.8 ათასი ლარი;

2.2 კომუნალური მეურნეობის განვითარება - 2,443.6 ათასი ლარი;

2.2.2 ბინათმშენებლობა - 1,870.6 ათასი ლარი;

2.2.3 წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 14.2 ათასი ლარი;

2.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია - 558.8 ათასი ლარი;

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 918.1 ათასი ლარი:

2.3.1 საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 6.8 ათასი ლარი;

2.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 911.3 ათასი ლარი;

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 87.6 ათასი ლარი;

2.5 სოფლის მეურნეობის განვითარება - 108.6 ათასი ლარი;

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 2,691.8 ათასი ლარი;

3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება - 1,939.9 ათასი ლარი;

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 658.1 ათასი ლარი.

3.3 დასუფთავება - 93.8 ათასი ლარი.

4. განათლების დარგით გახარჯულია სულ - 4,325.5 ათასი ლარი:

4.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სუბსიდირებაზე - 3,502.2 ათასი ლარი;

4.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 427.5 ათასი ლარი.

4.3 ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 296.5 ათასი ლარი.

4.4 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა - 99.3 ათასი ლარი.

5. კულტურა , რელიგია, ახალგაზრდული და სპორტულ ღონისძიებები - 4,296.5 ათასი ლარი;

6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3,201.8 ათასი ლარი, მათ შორის:

6.1 ჯანდაცვის პროგრამები - 464.0 ათასი ლარი;

6.2 სოციალური პროგრამები - 2,700.6 ათასი ლარი.

6.3 სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება - 37.2 ათასი ლარი.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული სამტრედიის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2026-2029 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მაქსიმალურ სარგებელს ნახულობს მის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო ინფრასტრუქტურით. მუნიციპალიტეტი მიმზიდველია ცხოვრებისა და ბიზნესის საწარმოებლად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა დივერსიფიცირებულია, ხოლო ეკონომიკური შესაძლებლობები გამოყენებულია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებებში. არსებული სპორტული ობიექტები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლების მიერ გამოყენებულია ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტული მიღწევებისათვის.

ხედვის რეალობად გადასაქცევად 2026-2029 წლების განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას მოქალაქეთა და ბიზნესისათვის. მათი ჩართულობით მოხდება საჭიროებების იდენიფიცირება, ანალიზი და გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მათთან ერთად აქტიურად იმუშავებს სამტრედიის განვითარებისთვის, პრომოუშენს გაუკეთებს სამტრედიას, როგორც ინვესტიციების განხორციელებისა და ოჯახების ცხოვრებისთვის საუკეთესო ადგილს. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს, ასევე, სხვა ქვეყანის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპელიტეტშიც, ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. შესაბამისად, 2026-2029 წლისთვის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

2026-2029 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

(თანხა ათას ლარებში)

პრიორიტეტის კოდი	**პრიორიტეტის დასახელება**	**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**2026 წლის პროგნოზი**	**2027 წლის პროგნოზი**	**2028 წლის პროგნოზი**	**2029 წლის პროგნოზი**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	174	7,075.5	6,861.8	6,894.8	6,929.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	0	4,191.0	5,124.3	6,425.0	8,768.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	157	4,399.0	4,080.0	4,080.0	4,080.0
04 00	განათლება	381	5,477.5	5,474.0	5,954.0	5,964.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	404	5,342.0	5,468.2	5,484.2	5,496.2
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	58	3,954.4	3,975.8	3,975.8	3,975.8
სულ ბიუჯეტი		**1174**	**30,439.4**	**30,984.1**	**32,813.8**	**35,213.8**

2026-2029 წლებში ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მთლიანი დაფინანსების ფარგლებში (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

(თანხა ათას ლარებში)

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნობა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	174	7105.5	6,894.8	6,894.8	6,929.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	0	4,944.9	6,425.0	5,344.1	8,768.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	157	4,725.0	4,725.0	4,964.0	4,964.0
04 00	განათლება	380	6,084.2	5,954.0	6,192.2	5,964.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	404	6,276.5	5,484.2	6,478.3	5,496.2
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	58	4,018.7	3,975.8	4,325.7	3,975.8
სულ ბიუჯეტი		**1173**	**33,154.8**	**33,458.8**	**34,199.1**	**36,097.8**

2026-2029 წლებში ასიგნებები და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მთლიანი დაფინანსების ფარგლებში

(არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად)

(თანხა ათას ლარებში)

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნობა	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხაარჯები	174	7105.5	6,894.8	6,894.8	6,929.7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	0	4,944.9	6,425.0	5,344.1	8,768.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	157	4,725.0	4,725.0	4,964.0	4,964.0
04 00	განათლება	380	6,084.2	5,954.0	6,192.2	5,964.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	404	6,276.5	5,484.2	6,478.3	5,496.2
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	58	4,018.7	3,975.8	4,325.7	3,975.8
სულ ბიუჯეტი		**1173**	**33,154.8**	**33,458.8**	**34,199.1**	**36,097.8**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეგილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტეის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვ დარგების განვითარების.

(თანხა ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**4,191.0**	**5,124.3**	**6,425.0**	**8,768.1**
02 01	**გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება**	**1,542.5**	**1,874.1**	**3,235.7**	**3,635.2**
02 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**2,355.0**	**2,683.0**	**2,773.0**	**3,353.0**
02 02 01	**ბინათმშენებლობა**	**955.0**	**950.0**	**1,000.0**	**1,500.0**
02 02 02	**წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**80.0**	**103.0**	**103.0**	**133.0**
02 02 03	**გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**1,320.0**	**1,630.0**	**1,670.0**	**1,720.0**
02 03	**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**	**139.0**	**562.3**	**411.4**	**1,775.0**
02 03 01	**საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება**	**7.0**	**7.0**	**7.0**	**7.0**
02 03 03	**სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები**	**132.0**	**555.3**	**404.4**	**1,768.0**

02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	154.5	4.9	4.9	4.9

1.1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ტროტუარები საჭიროებს განახლებას, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს ქალაქის იერსახეს და ქვეითთა გადაადგილების კომფორტულ გარემოს. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალსათულიანი ბინების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრეშოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას. ზამთრის სეზონის პერიოდში ასევე აუცილებელი ხდება მაღალმთიანი სოფლების შიდა საავტომობილო გზებზე და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე თოვლის საფარის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც გამოიყენება მძიმე ტექნიკა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები, ცხაურები და ხიდ-ბოგირები.

პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან და მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა; არსებული გზების მაღალი ხარისხის შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო

საკუთრების მოვლა–პატრონობა. მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება. გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა,

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, წყალმომარაგებისა და გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების მოვლა, დასუფთავება.

1.2.1 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერსა და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. არსებული მრავალსართულიანი კორპუსების ფასადები სიძველის გამო გამოსულია მწყობრიდან, საიდანაც ხშირ შემთხვევაში ცვივა ბათქაში და იქმნება საფრთხე. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთარი და საერთო საკუთრების მოვლა–პატრონობა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით მუნიციპალიტეტი აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

პროგრამის მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი სამუშაოების დაფინანსების თხოვნის საფუძველზე მობინადრეთათვის გაუმჯობესებული, თანაბარხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

1.2.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება.ასევე განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია;მოწყობა-მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას.

პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა. რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უწყვეტ წყლის მიწოდებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

1.2.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენური ფაქტორების შემცირება. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად მოძრაობისათვის აუცილებელია ქალაქის განათება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა. ახალი სანათების შეძენა მონტაჟი.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, რომელიც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის იერსახეს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა;

1.3.1 საკადასტრო რუქების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 03 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

1.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსაწყობია ინფრასტრუქტურა, სკამები, გაზონები. ზოგი მათგანი საჭიროებს შეღობვით სამუშაოებს და განათების მოწყობას. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იპოდრომის ტერიტორია საჭიროებს კეთილმოწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერები და გაზონები მოითხოვს გამწვანების სამუშაოების ჩატარებას,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები სიძველის გამო ამორტიზირებულია და საჭიროებს განახლებას. აღნიშნული პროექტით შეიქმნება ახალი დადასვენებელი კერები და გაუმჯობესდება იერსახე.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

1.4 სოფლის მეურნეობის განვითარება პროექტები (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურეობის ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრას. ასევე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, რომელიც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების აგროვადებში დამუშავებასა და მოსავლის დროულ გატანას; სახნავი ფართობების შემოღობვას, რაც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან სავარგულების დაცვას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარე არხების გაწმენდა რეაბილიტაციას, რაც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების ჭარბი ტენისაგან და დაჭაობიანობებისაგან თავიდან აცილებას.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

ორგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,399.0	4,080.0	4,080.0	4,080.0
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	2,950.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	934.0	980.0	980.0	980.0
03 03	დასუფთავება	315.0	100.0	100.0	100.0
03 04	კომუნალური, კეთილმოწყობითი და სხვა სამსახურების სატრანსპორტო საშუალებების საქმიანი ეზოს მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	200.0	0.0	0.0	0.0

2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეთიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.

2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება. განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მფოლობელობაში არსებული წყალმომარეგების სისტემის ექსპლუატაცია, შეკეთება და ოპერირება, საჭიროების შემთხვევაში ახალი ქსელის მონტაჟი.

2.2 დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: დასუფთავების ღონისძიებები - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამაში შემავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უმთავრესი მიზანია ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლის გარეშე დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

(თანხა ათას ლარებში)

ორგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	5,477.5	5,474.0	5,954.0	5,964.0
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	5,000.0	5,000.0	5,500.0	5,500.0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	407.5	414.0	414.0	414.0
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	70.0	60.0	40.0	50.0

3.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1200 ბავშვი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის დახვეწა. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ასევე, განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია. სკოლამდელი გაერთიანება მოწოდებულია და მიზნად ისახავს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად, ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. ბაღების გაერთიანება აქტიურად მუშაობს თემატური პროექტების, სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე, ამასთან, ხელს უწყობს შშმ ბავშვთა ჩართულობას სასაწავლო პროცესში. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც.

3.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც 24 დასახელების სხვადასხვა წრეში აერთიანებს 500-მდე მოსწავლეს, ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებას და მორგებულია მოზარდთა გამოწვევებსა და ინტერესებზე. ახორციელებს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. არაფორმალური დამატებითი სწავლების ორგანიზებას. ხარისხიანი განათლების მიცემას თავისი ბენეფიციალებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის პოტენციალის განვითარებას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, რათა შეეძლოთ პროექტების მართვა, ღონისძიებების მენეჯმენტისთვის აუცილებელი უნარების განვითარება. საქმიანი კავშირების

გაფართოება. საჯარო სკოლებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, საზოგადოებასთან. თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება.
ჩატარდება სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში. შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები, გაგრძელდება ფინანსური მხარდაჭერა დაგეგმილი შიდა ღონისძიებებისათვის.

3.3 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

ბაგა-ბაღების გარკვეული ნაწილი, რომლებიც დღეის მდგომარეობით არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, გაუუმჯობესდებათ პირობები. გარემონტდება ოთახები, სამზარეულოები, სველი წერტილები. შეიცვლება ინვენტარი. ეზოებში მოეწყობა ბავშვთა გასართობი ატრაქციონები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

(თანხა ათას ლარებში)

ორგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,342.0	5,468.2	5,484.2	5,496.2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,801.5	2,716.2	2,731.2	2,731.2
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია	327.0	232.0	232.0	232.0
05 01 02	სპორტული სკოლები	2,474.5	2,484.2	2,499.2	2,499.2
05 01 02 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი	186.0	186.0	186.0	186.0

05 01 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა	395.0	402.7	402.7	402.7
05 01 02 03	ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო"	205.0	185.0	200.0	200.0
05 01 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"	236.5	236.5	236.5	236.5
05 01 02 05	შ.პ.ს. "სპორტული კომპლექსი სამტრედია"	779.5	765.0	765.0	765.0
05 01 02 06	ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"	283.0	283.2	283.2	283.2
05 01 02 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"	389.5	425.8	425.8	425.8
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,845.3	2,034.3	2,034.3	2,044.3
05 02 01	სახელოვნებო სკოლები	1,004.6	1,074.6	1,074.6	1,084.6
05 02 01 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N 1 სახელოვნებო სკოლა	276.0	297.7	297.7	297.7
05 02 01 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა	141.2	152.4	152.4	152.4
05 02 01 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა	90.4	98.3	98.3	98.3
05 02 01 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა	128.8	139.4	139.4	149.4
05 02 01 05	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დ.ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა	133.4	145.1	145.1	145.1
05 02 01 06	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა	111.7	120.7	120.7	120.7
05 02 01 07	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	123.1	121.0	121.0	121.0
05 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი	672.7	776.9	776.9	776.9
05 02 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	168.0	182.8	182.8	182.8
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	117.8	127.5	127.5	127.5
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	68.4	82.2	82.2	82.2
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება,	249.0	248.0	249.0	251.0
05 05 01	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	43.0	43.0	43.0	43.0
05 05 02	კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება	206.0	205.0	206.0	208.0

05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	260.0	260.0	260.0	260.0

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვდასხვა სახეობების ხელშეწყობა. პროგრმის ფარგლებში ხორციელდება:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით;
- ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი;
- ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;
- პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სტადიონების მშენებლობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ღირებულება და ახალი სტადიონების მოწყობა და არსებულის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიზანი: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწრთვნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2026 წლის განვალობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპკომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი ”ჯიკო ”;
- ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი ”სამტრედია”;
- შპს სპორტული კომპლექსი ”სამტრედია ”;
- ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ფენიქსი“;
- ა(ა)იპ საჭიდაო კლუბი " ფალავანი".

4.1.2.1 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საცხენოსნო სპორტული კლუბი" (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერდი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში.

4.1.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "კომპლექსური სპორტული სკოლა" (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გაძლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

4.1.2.3 ა(ა)იპ " საფრენბურთო კლუბი ჯიკო" (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: "საფრენბურთო კლუბი ჯიკო"-ს მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ქალთა გუნდური სახეობების და საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთელ ქალთა გუნდ „ჯიკო"-ს სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. კლუბის მთავარი ამოცანა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მიწოდებაა როგორც საქართველოს ეროვნული, ასევე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებსითვის.

4.1.2.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "ხელბურთელთა კლუბი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ააიპ ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" ემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას, მოზარდი თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაერთიანდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში როგორც ვაჟები, ისე გოგონები, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში. შეინარჩუნონ არსებული ტრადიციები და მოიპოვონ ახალი წარმატებები. მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

4.1.2.5 შპს"სპორტული კომპლექსი სამტრედია" (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სპორტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში. შპს ,,სპორტული კომპლექსი–სამტრედია"ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ–გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. შპს ,,სპორტული კომპლექსი–სამტრედია" არის სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის, ცენტრალური საფეხბურთო მოედნის, სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, მინი საფეხბურთო მოედნების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დროებით მოსარგებლე. მისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამ ტერიტორიის მოვლა შენახვა და მოსწავლეთათვის, შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს სპორტსმენთათვის, ქალაქისა და ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ–ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა. შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ძირითად საქმიანობაში შედის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებით, ცენტრალური საფეხბურთო მოედნითა და სპორტული დარბაზით მომსახურეობა. მისი მიზანია მაქსიმალურად დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა მოზარდი თაობების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდაში. ცენტრალური საფეხბურთო მოედანი სამტრედიის მუნუციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების თანახმად უფასოდ ემსახურება საფეხბურთო სპორტულ კლუბ სამტრედიას და

სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ეხმარება და უზრუნველყოფს მათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით და მათი ვარჯიშისა და მატჩებისთვის საუკეთესო პირობებით. მისი მიზანია, ბავშვთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარება, შპს სპორტული კომპლექსი-სამტრედიას ჰყავს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა საფეხბურთო ტურნირებსა თუ ღონისძიებებში. ცდილობს რაც შეიძლება მრავლად ჩაერთოს სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლე ახალგაზრდობა. საცურაო აუზი დატვირთულია მთელი წლის განმავლობაში. აქ მაქსიმალურად დაცულია ჰიგიენური პირობები, ცურვის სპეციალისტი და მასაჟისტი ემსახურება სქოლიოზით დაავადებულ მოზარდებს. ცენტრალურ საფეხბურთო მოედანზე მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩები და ტარდება სხვადასხვა საფეხბურთო ღონისძიებები. შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ მოედნის პირობები აკმაყოფილებდეს, ნებისმიერი ლიგის სტანდარტებს. სპორტულ დარბაზში, ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მაქსიმალური პირობების დაცვით.

4.1.2.6 ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ფენიქსი“ (პროგრამული კოდი 05 01 02 06)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "კლუბი ფენიქსი" ემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას, მოზარდის თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის "კლუბი ფენიქსი"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებსა შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

4.1.2.7 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის შესწავლაში, შერჩეული სპორტსმენების მზადების საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სამინისტროების ან სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება. მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სპორტის სახეობათა ფედერაციებისა და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა სპორტღონისძიებებში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს სასპორტო-საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს:

ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები, ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და დაოსტატების ეტაპზე.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ დომენტი შანიძის სახელობისN 1 სახელოვნებო სკოლა
- ააიპ N2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა;
- ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა;
- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა.

4.2.2 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურული შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობის, დასვენებისა და გართობის უზრუნველყოფა, ახალი თაობის აღზრდა სახელოვნებო სფეროში. თეატრალურ, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა. სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმინაობის განვითარება. თანამშრომლობა ადგილობრივდა მეზობელ მუნიციპალიტეტს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობის მისაწვდომობის მიზნით საქმიანი კავშირების გაფართოება სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, საჯარო სკოლებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან. საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა (მოყვარული-სტატუსით) თეატრალურ, სამუსიკო და ქორეოგრაფიულ დარგში და მათი მონაწილეობა ფესტივლებში, კონკურსებში. თავისუფალი დროის სწორი დაგეგმარება და ურთიერთთანამშრომლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან და მეზობელი მუნიციპალიტეტების ხელოვანებთან. საკლუბო მუშაობის გაფართოება. ადგილობრივი მედია სივრცის ათვისება. ასევე განხორციელდება სხვადასხვა

კულტურულ-შემცნებითი ხასიათის ღონისძიებები, შემოქმედებითი ჯგუფების საანგარიშო შემაჯამებელი კონცერტები.

4.2.3 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 10 ბიბლიოთეკას. იგი ორიენრიტებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურეობა საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

4.3 შპს ” სამტრედიის მაცნე ” (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ერთადერთი გაზეთია მუნიციპალიტეტში, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს მოსახელობის ყოფა-ცხოვრებას, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. წინა პლანზე გამოაქვს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული თემები.

გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ პროგრამის მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე დროულად მიწოდება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის, აგრეთვე მუნიციპალური და ცენტრალური მნიშვნელობის დადგენილებების, განკარგულებების და სხვა ინფორმაციის მიწოდება მთელი წლის განმავლობაში. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ უზრუნველყოფს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას, ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოების ინტერესი, გააშუქოს მისთვის საჭირბოროტო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა. ასევე ორიენტირებულია იყოს მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის. გაზეთის ინტერესშია, შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლამდე ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას.

4.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საინფორმაციო ცენტრი" (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

4.5 ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

4.5.1 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას. ახალგაზრდების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით მათ დაფინანსებას, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული გრანტის მფლობელთა წახალისებას; სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაწევას (რომლებმაც ასევე მიაღწიეს გამარჯვებას სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო კონკურსებში.) ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღიონიძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება-დაფინანსებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას.

4.5.2 კულტურის ძეგლთა დაცვის და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო, კულტურული ღონისძიებების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების ორგანიზებასა და მხარდაჭერას; სხვადასხვა ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლებასა და განვითარებას. ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანების წარმოჩენას; წარმატებული, ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანების წახალისებას, დაჯილდოებას; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნულების დამზადებას, კულტურული ისტორიული ძეგლების, ღირშესანიშნაობების ფოტოებისა და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადებას. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, გასვლითი ტურების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგამოფენო სტენდების დამზადებას. მუზეუმის პოპულარიზაციის კუთხით სხვადასხვა აქტივობების გამართვას, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, ღონისძიებებში ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

4.6 ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 06)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

4.7 კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 07)

პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე არსებული სოფლის კულტურის სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა. ტერირორიაზე არსებული სოფლის კულტურის სახლების უმეტესი ნაწილი, რომლებიც დღეის მდგომარეობით გამოსულია მწობრიდან და არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, რეაბილიტაციის შემდეგ კულტურის სახლები დაიტვირთება სხვადასხვა წრეებითა და აქტივობებით, რითაც სოფლის მოსახლეობას გაუმჯობესდებათ პირობები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამის აღწერა და მიზანი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

(თანხა ათას ლარებში)

ორგ. კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,954.4	3,975.8	3,975.8	3,975.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	312.6	289.5	289.5	289.5
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	312.6	289.5	289.5	289.5
06 02	სოციალური პროგრამები	3,641.8	3,686.3	3,686.3	3,686.3
06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	396.7	419.2	419.2	419.2
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	273.0	295.0	295.0	295.0
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	470.0	470.0	470.0	470.0
06 02 04	სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები	1,981.4	1,981.4	1,981.4	1,981.4
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	6.0	6.0	6.0	6.0
06 02 07	სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული	514.7	514.7	514.7	514.7

	მოქალაქეებიის დახმარება				

5.1 ა(ა)იპ საზოგადოებრივი "ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" (პროგრამული კოდი 06 01 01)
პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:
1. ეპიდემიოლოგიური კვლევის განხორციელება ეპიდსაშიშროებისას, პირველადი ეპიდ,კვლევის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მართვა და პრევენციული ღონისძიებების გატარება და კონტროლი. დაავადებათა ზედამხედველობის ინტეგრირებული პროგრამის მართვა (EIDSS). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა (მ/შ ტუბერკულოზის, შიდსის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების „ბ „ ც „ და სხვა ჰეპატიტების, ვაქცინაციით მართვადი დაავადებების ეპიდზედამხედველობა, მართვა, პრევენცია და კონტროლის ღონისძიებები.
2. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოფროფილაქტიკის დაგეგმვა, იმუნოფროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, იმუნოფროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში, მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება დაზუსტება, ვაქცინათა სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა, ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის დაგეგმვა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონალურ დონესთან, ვაქცინათა მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში დადგენილი წესის მიხედვით.
3. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის ანტინატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის „ცენტრიდან“ ტესტებისა და სახარჯი მასალების გაცემა, აგრეთვე „ბ“ ჰეპატიტის იმუნოგლობულინის გადაცემა იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამეანო მომსახურეობას, სტატეგიული შრატების , ანტირაბიული ვაქცინის და იმუნოგლობულინის მიღება- განაწილება. შესაბამისი ელექტრონული მოდულების წარმოება.
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით, გადამტანების არსებობის და გავრცელების არეალის დადგენა სეზონის განმავლობაში. სამტრედიის რაიონი, როგორც ჰიპერმალარიული ზონა, მუშაობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ფართობები ინსექტიციდით, კერძოდ: სოლფაკით. შემდგომ ხდება დამუშავებული ფართობების აღრიცხვა და ანგარიშგება შესაბამისი ცხრილებით
5. პარაზიტული დაავადებების ეპიდ კონტროლი და პროფილაქტიკა.
6. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო- სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
7. „ც“ ჰეპატიტის“ და აივ-ინფექცია, შიდსისს სკრინინგ პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართვას, მოსახლეობის მასიური სკრინინგის უზრუნველყოფის მიზნით, დადებითი შემთხვევების კონფირმაციულ კვლევას, მიდევნებას და მკურნალობაში ჩართვას. ასევე 18 წლის ზემო ასაკის ყველა ბენეფიციარის სკრინინგულ კვლევებს, ვინც არ არის დასკრინული. მონაცემების შეტანა და დამუშავება ც ჰეპატიტის ელექტრონულ სკრინიგ მოდულში.
8. მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.

5.2 საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს არ გააჩნია საკუთარი შენობა, რის გამოც წლების განმავლობაში სხვადასხვა არასტანდარტულ შენობებში ფუნქციონირებს. რომლებიც არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, ახლის მშენებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ექნება თანამედროვე სტანდარტების და აღჭურვილობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, სადაც ადგილობრივი მოქალაქეები დროულად შეძლებენ საჭირო მაღალხარისხიანი სერვისების მიღებას .

5.3 ა(ა)იპ სახლი "თანადგომა" (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარება ააიპ „სახლი თანადგომისათვის" პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დღეს, როდესაც ქვეყანაში მრავლადაა გაჭირვებული ოჯახები, მოთხოვნის შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში ხდება სხვადასხვა ფორმით მატერიალური დახმარების გაწევა.

სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით.

ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებათ დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებულებს.

5.4 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების სახლი " (პროგრამული კოდი 06 02 02)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. წოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით

5.5 დედათა და ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:

ახალშობილთა დახმარება

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ პირველი შვილი მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 300 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-2 შვილი მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერად 400 (სამასი) ლარის ოდენობით.

3. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-3 შვილი მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 500 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ მე-4 და მეტი შვილი მიიღებენ დაფინანსებას ერთჯერადად 600 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ტყუპები დაფინანსებას მიიღებენ თითოეულ შვილზე: პირველი და მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 400-400 ლარს, მეორე და მესამე - 500-500 ლარი, ხოლო მესამე და მეოთხე შვილის და მეტის შემთხვევაში 600-600 ლარს.

6. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ფარგლებში, ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ–ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000–ს და შეეძინათ პირველი შვილი მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთას) ლარს.

ახალშობილთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა, თუ ახალშობილი დაიბადა 2025 წლის 1 სექტემბრის შემდეგ და დახმარება არ აქვს აღებული.

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე)

ითვალისწინებს მრავალშვილიან მშობლებისთვის ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილისათვის).

5.6 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება

1. ამ პროგრამით სარგებლობენ მოქალაქეები, რომლებიც დაავადებული არიან გულსისხლძარღვთა დაავადებით, ონკოლოგიური დაავადებით, გინეკოლოგიური დაავადებით და ასევე სხვა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებით და საჭიროებენ გადაუდებელ ოპერაციას, ქიმიოთერაპიას, კოქსართროზი, გონართროზი, ანევრიზმა, თრომბოფლებიტი და ასევე სხვა დაავადებების ქირურგიული და კონსერვატიული მკურნალობას, სამკურნალო სარეაბილიტაციო პროცედურებს, ქცევითი თერაპიებსა და სხვა, მიიღებენ შემდეგი სახის დახმარებას:

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები, 1.00 დან-500 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 100 %, 500-1000 ლარის ჩათვლით 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარით, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით;

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000 ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში **და წარმოდგენილი აქვთ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა ოჯახის მძიმე ეკონომიკური პირობების შესახებ** 100 დან 1000 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, არაუმეტეს 500 ლარის, 1000 ლარის ზემოთ 600 ლარით.

2. მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებს, დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ კვლევას, მაგნიტურ-რეზონანსულ კვლევას, PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია) კვლევას, მიიღებენ შემდეგი სახის დახმარებას:

ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს, შშმპ და ომის ვეტერანები, ონკოლოგიური პაციენტები 1.00 დან -800 ლარის ჩათვლით მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით;

ბ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 100000 დან 200000 ის ჩათვლით 1.00 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 90 %, მაქსიმუმ 300 ლარით, 800 ლარის ზემოთ 400 ლარით;

გ) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაა 200000-ის ზევით ან არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და წარმოდგენილი აქვთ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა ოჯახის მძიმე ეკონომიკური პირობების შესახებ 100 დან 800 ლარის ჩათვლით დაფინანსდება 80 %, მაქსიმუმ 300 ლარით 800 ლარის ზემოთ 400 ლარით;

დ) PET (პოზიტრონულ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია)-კვლევა დაფინანსდება 600 ლარით.

2. მარტოხელა მშობლების დახმარება.

1. ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სამოქალაქო რეესტრში. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მიიღებენ 150 ლარიან დახმარებას, ორი

შვილის შემთხვევაში 200 ლარიან დახმარებას, სამი და მეტი შვილის შემთხვევაში 300 ლარიან დახმარებას (შვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 18 წელს).

3. სტუდენტების დახმარება

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს 1000 (ათასი) ლარით გაეწევათ დახმარება ერთჯერადად:

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან;

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთაც აქვთ იშვიათი (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) დაავადებები და სისტემატურად საჭიროებენ მკურნალობას, ასევე „ავთვისებიანი სიმსივნეები რომლებიც ვლინდება ახალგაზრდა ასაკში“ და ხანგრძლივად საჭიროებენ ექიმის მეთვალყურეობას, ყოველთვიურად გაეწევათ 400 ლარიანი დახმარება:

ა) დედ-მამით ობოლი ოჯახებიდან;

ბ) მრავალშვილიანი (4 და მეტიშვილიანი) სოციალურად დაუცველ ოჯახებიდან;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000- ჩათ. სარეიტინგო ქულა;

დ) მარტოხელა მშობლების შვილები.

4. უდედმამო ბავშვების დახმარება

- მოსარგებლე 18 წლამდე ბავშვები, რომლებსაც გარდაეცვალა მშობლები, ან ბავშვები, რომელთა მშობლების ადგილსამყოფელი უცნობია და ზრდის მეურვე ან მზრუნველი:

- უდედმამო ბავშვებზე 0-დან 18 წლის ჩათვლით დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, ყოველ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

5. ხანდაზმულთა დახმარება;

ერთჯერად, 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით, დაფინანსებას მიიღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

6. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 300 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ შემდეგი კატეგორიის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახები და ომის მონაწილეები:

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი შშმ პირები;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერად 200 ლარიან სოციალურ დახმარებას მიიღებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, მარჩენალ დაკარგულები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული, სხვა ომის მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნიათ 0-დან 200000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

7. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ჩერნობილის მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით, 26 აპრილს.

8. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება;

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას, თითოეულისათვის 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად .

9. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით , დიაბეტით დაავადებულ და დაუნის სინდრომის ბავშვთა ფინანსური დახმარება.

- ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით;

- ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) ფინანსური დახმარება;
ითვალისწინებს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა (18 წლამდე) აღრიცხვას და ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით;

- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს
დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

- დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს
დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით.

- ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებები, ჰიპერალანინემია და სხვა იშვიათი(საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 199/ნ 2001 წლის 14 მაისი, იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ) (18 წლამდე) დაავადებების ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს აღნიშნული დაავადებით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.

- **ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება.** ყოველთვიური დახმარება 100-100 ლარი მიეცემათ 18 წლამდე ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვებს

10. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება;

ითვალისწინებს 2008 წელს გარდაცვლილ მეომართა ოჯახის წევრების ერთჯერადად დაფინანსებას 2 000 ლარით;

11. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;

- ყოველთვიური ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მხედველობა და სმენა დაქვეითებულ მოქალაქეებს 100-100 ლარის ოდენობით.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: ეპილეფსია, გონებრივი განვითარების შეფერხება და დემენციადაუზუსტებელი), მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც დაავადებულია ცეროზით-150 ლარის ოდენობით.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ასევე ქრონიკული ან დროებითი ფსიქიკური დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, 100 ლარის ოდენობით.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 18 წლამდე 200 ლარის ოდენობით.
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემათ ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ 18 წლის ზემოთ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით.
- ონკოლოგიური სენით (III და IV სტადია) დაავადებული მოქალაქეები ერთჯერადად დაფინანსდება 200 ლარით.
- **ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება**. ერთჯერადი დახმარება 300 ლარი მიეცემათ ფსორიოზით დაავადებულ პირებს.
- **პარკინსონით დაავადებულ პირთა დახმარება.** ერთჯერადი დახმარება300 ლარი მიეცემათ პარკინსონით დაავადებულ პირებს,

12. ფინანსური დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში;

- მოქალაქეები, რომლებიც არიან მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, ქრონიკული ან დროებითითი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცეთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარების შესაბამისად:

ა) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა კაპიტალური საცხოვრებელი სახლი მთლიანად და საყოფაცხოვრებო ნივთებით დახმარება გაეწიოს 5 000 ლარის ოდენობით;

ბ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის პირველი და მეორე სართული - 4 000 ლარის ოდენობით;

გ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული და საყოფაცხოვრებო ნივთებით - 3 000 ლარის ოდენობით;

დ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ერთი სართული საყოფაცხოვრებო ნივთების გარეშე -2000 ლარი;

ე) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) -1000 ლარი;

ვ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლის ნაწილი (ერთი, ორი ოთახი) საყოფაცხოვრებო ნივთებით-2000 ლარი;

ზ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა სადაც ცხოვრობს დღის განმავლობაში -1000 ლარი;

თ) მოქალაქეს, რომელსაც დაეწვა დამხმარე ნაგებობა, სადაც არ ცხოვრობს - 500 ლარი.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც წარმოადგენენ რისკის ქვეშ (ენგრევათ საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას), უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთაც არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, ასევე მოქალაქეებს, რომლებიც არიან ჯანმრთელობის მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, დახმარების ოდენობა განისაზღვროს მერიაში შექმნილი კომისიის მიერ. სიმძიმის მიხედვით 100-დან 1000 ლარის ჩათვლით:

ა) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, შშმპ, შეჭირვებული- 100 ლარი;

ბ) არის მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილი პირი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი, არა აქვს საკუთარი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში-150 ლარი;

გ) წარმოდენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100 -150 ლარი;

დ) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, დაავადებულია რამოდენიმე ქრონიკული დაავადებით -200 ლარი;

ე) წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, აქვს უმძიმესი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები-300 ლარი;

ვ) არის შშმ პირი, მრავლშვილიანი (3 და მეტი) ოჯახი, რომლებსაც არა აქვს საცხოვრებელი სახლი და ცხოვრობენ სხვის ბინაში -500 ლარი;

ზ) ენგრევათ საცხოვრებელი სახლი, საჭიროებენ გადაუდებელ მინიმალურ სარემონტო სამუშაოს ჩატარებას - 500 ლარი. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1000 ლარი.

- მცირეწლოვანი ბავშვები და მოქალაქეები, რომლებიც მკურნალობენ საზღვარგარეთ, მათ შორის, ონკოლოგიური დაავადებებით - ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, მელანომა; თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია; ქვედა კიდურების ატროფია; სქოლიოზი - გამოხატული ნეკნოვანი კუზით; ავარიის შედეგად მიღებული ტრამვების რეაბილიტაცია, სხვა მძიმე დაავადებები, გაეწევათ გარკვეული თანხით დახმარება, არა უმეტეს 5 000 ლარისა. მოქალაქემ მკურნალობის შემდეგ უნდა წარმოადგინოს, მერიის მიერ ჩარიცხული თანხის გამოყენების ანგარიში. სავალდებულოა ბენეფიცირი რეგისტრირებული იყოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდეს 200000-ს, ან უნდა წარმოადგინოს მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული შუამდგომლობა მოქალაქის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

13. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება

ერთჯერადი მატერიალური დახმარება 150 ლარის ოდენობით, გაეწევათ სოციალურად დაუცველი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებს და ოჯახის წევრებს, რომელთა სარეინტიგო ქულა შეადგენს 0-200000 მდე.

14. წითელი ჯვრის თანადაფინანსება - "საქმიანობათა ცენტრი სამტრედიაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის"

- **კატასტროფების მართვა** (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება) გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური რეაგირებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/სწავლებას, სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.

- **ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა** ითვალისწინებს მობილური პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების მეშვეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმი-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე დასახლებებსა და თემებში. ასევე სისხლის უანგარო, ნებაყოფლობითი დონაციის პროპაგანდის მეშვეობით სისხლის დონორების მობილიზებას და ქვეყანაში არსებული სისხლის მარაგის შევსებას, იმუნიზაციის გზით ქვეყნის მოსახლეობის ეფექტურ დაცვას მართვადი დაავადებებისაგან, საგანგებო სიტუაციებისთვის, მათ შორის პანდემიებისთვის მზადყოფნას, ეპიდემიური კონტროლის, წყლის ჰიგიენისა და სანიტარიის, მასობრივი საგანგებო

სიტუაციებიის მართვის, პირველი დახმარებისა და ფსიქოლოგიური პირველი დახმარების შესახებ ცოდნის ამაღლების და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს თემის დონეზე საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების გაუმჯობესებას;

- **სოციალური მხარდაჭერის** ფარგლებში ,,ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის" ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, საოჯახო საქმეებში დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

- **ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება** მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ მობილიზებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის გავნვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორთა განათლების პროცესში და დაეხმარონ თანატოლებს გახდენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაიუმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები.

15. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა.

ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის (დღის ცენტრის) ხელშეწყობას, კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებასა და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსებას. 2026 წლის განმავლობაში თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება კომუნალური ხარჯები (ელექტრო ენერგია, გაზი, წყალი) და ასევე ტრანსპორტირების დაფინანსება, ორგანიზაციის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩაირიცხება მათ ანგარიშზე თანხა თვეში არაუმეტეს 1050 ლარისა.

16. სოციალურად დაუცველი და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა 300 ლარის ოდენობით.

17. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებაზე ტრანსპორტით მომსახურება.

18. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია.

ითვალისწინებს 2025 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით ქალაქ სამტრედიაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2-15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0-F84.9) ყოველთვიურ დახმარებას 300 ლარის ოდენობით;

19. მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება.

- ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობა, რომლებიც მოქმედებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, გაეწევათ დახმარება 200 ლარის ოდენობით.

- ქალთა და მამაკაცთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში, ოჯახის წევრებს შორის გამოვლენილი ძალადობის დროს, გაეწევათ დახმარება 200 ლარის ოდენობით.

- უკიდურესად სიღარიბეში ყოფნის შემთხვევაში, ოჯახის წევრების უუნარობის, საკვების, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების უქონლობის, უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნისა და ხანდაზმულთა (თანადგომის ქსელის არ ყოლა) დახმარების მიზნით, დამხარება გაეწევათ მოქალაქეებს 200 ლარის ოდენობით.

20. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახების მხარდაჭერა ამოცანები: ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში შემოსული განცხადებების განხილვა. ბავშვისა და ოჯახის შეფასება. ბავშვის/ბავშვების საჭიროების დადგენა. გრძელვადიანი ან მოკლევადიანი გეგმის დაწერა, საჭიროების შემთხვევაში შემთხვევის გადამისამარება შესაბამის უწყებაში, დამხმარე სერვისებში პრობლემის აღმოფხვრისა და ოჯახის გაძლიერების მიზნით. ოჯახის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაზე მუშაობა. სამიზნე ჯგუფი: ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომელთაც დაუდგათ მძიმე კრიზისული მდგომარეობა ან საჭიროებენ მხარდაჭერას დროის უმოკლეს პერიოდში, შექმნილი სირთულეებიდან გამომდინარე. დახმარება გაიცემა მატერიალური, ფულადი ან/და ადამიანური რესურსების გამოყენებით.

ჩართვის კრიტერიუმები:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები;

ბ) მშობლის /მშობლების /მეურვის/მარჩენალის გარდაცვალება;

გ) ოჯახის შემოსავლის წყაროს დაკარგვა (მშობელმა/მშობლებმა დაკარგეს სამსახური);
დ) ბავშვის /ბავშვების/ მშობლის/მშობლების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება;
ე) ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება და ოჯახი აღმოჩნდა ეკონომიკური კრიზისის წინაშე;
ვ) სტიქია (საცხოვრებლის დაკარგვა და არ აქვს ალტერნატიული ფართი);
ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან;
თ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანი სოციალურად დაუცველის ოჯახიდან;
ი) ძალადობის მსხვერპლი მშობელი;
კ) მარტოხელა მშობელი.

21. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნენელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა.

22. უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება;
უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი: (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ მოხდება ერთჯერადად 300 ოჯახზე, 100-100 ლარის დარიცხვა ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

23. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება
პროგრამა ითვალისწინებს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსებას საზღვარგარეთ. კერძოდ: ონკოლოგიური დაავადებები -ლიმფომა, გლიომა, ლეიკემია, ანევრიზმა, თავის ტვინის სიმსივნე, თავის ქალის პროგრესირებადი დეფორმაცია, ქვედა კიდურების ატროფია, თვალის დაავადებები, ავარიის შემდგომი რეაბილიტაცია, ინვიტრო განაყოფიერება. ბავშვთა სქორიოზი გარკვეული თანხით დახმარება არა უმეტეს 10 000 ლარისა.

27. **მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება**
ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:
ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.
ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება;
გ) მრავალშვილიანი სოციალურად დაუვცელი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება.
თანხა გაიცემა 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

5.7 დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 05)

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, სხვა ომის მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯი 250 ლარის ოდენობით.

5.8 სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს უკიდურესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენას/რეაბილიტაციას და მასში ცხოვრება მოსახლეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია, ან საერთოდ არ გააჩნია საცხოვრებელი ფართი, საცხოვრებელი პირობების მოგვარებაში, რათა ოჯახებს მიეცეს პრობლემის შემსუბუქების და სოციალური ფუნქციონირების ამაღლების პერსპექტივა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა ქვეპროგრამა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მოწყვლადი ოჯახებისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული პროექტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებულ მოქალაქეთა განცხადების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი“.

მესაკუთრე ვალდებულია 10 წლის განმავლობაში არ განკარგოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აშენებული მცირე ფართიანი საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი რომელზედაც განხორციელდა სახლის მშენებლობა, რაზედაც პროექტის განხორცილების დაწყებამდე გაფორმდება ურთიერთშეთანხმების აქტი.